როგორ მანიპულირებენ სამთავრობო ტროლები ევროსტატის მონაცემებით?

სიღარიბის ერთიანი სტანდარტის არარსებობისა და თვლადების იგნორირების პირობებში სრულიად დეზინფორმაციული და არაფრისმთქმელია გარკვეული სამთავრობო ტროლების მხრიდან იმაზე გლოვა რომ, EUROSTAT-ის **ინფორმაციის** შესაბამისად, ევროკავშირის მოსახლეობის 21.4%, ანუ 94.6 მილიონი ადამიანი, სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის რისკის ქვეშ იმყოფება.



სრული კატეგორიულობით უნდა ითქვას, რომ საქართველო და ევროკავშირი სიღარიბეს სრულიად განსხვავებული სტანდარტებითა და კრიტერიუმებით ითვლიან და, შესაბამისად, სიღარიბის მაჩვენებელი რიცხვები ერთმანეთთან ერთი რომელიმე კოეფიციენტის მიხედვით არ დარდება.

თუკი მაინცდამაინც უნდა დავადაროთ, შესაძლებელია სიღარიბის საერთაშორისო ზღვარი გამოვიყენოთ, რომელიც განსაზღვრულია 3.65 აშშ დოლარზე [1] ნაკლები დღიური შემოსავლით. ამ მონაცემის შესაბამისად, **საქართველოში ყოველი მე-5 ადამიანი სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ევროკავშირში კი ასეთი მხოლოდ ყოველი 167-ე**

2024 წლის ივნისში EUROSTAT-მა **გამოაქვეყნა** ანგარიში სახელწოდებით **„ევროპაში ცხოვრების პირობები - სიღარიბე და სოციალური გარიყულობა"**. მონაცემების თანახმად, ევროკავშირის მოსახლეობის 21.4%, ანუ 94.6 მილიონი ადამიანი, სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის რისკის ქვეშ იმყოფება.

სამთავრობო ტროლები დაუყოვნებლივ ჩაეჭიდნენ ამ მაჩვენებელს და საზოგადოებას იგი წარუდგინეს, როგორც დასტური იმისა, რომ ევროკავშირის ქვეყნები სიღარიბის უკიდურესი საფრთხის წინაშე დგანან. ამ ელემენტარული რიცხობრივი მანიპულაციის მიზანი, ცხადია, ადამიანებში ევროინტეგრაციის მიმართ სკეპტიციზმის გაღვივებაა.

ერთმნიშვნელოვნად უნდა ითქვას, რომ როდესაც ვინმე პროპაგანდისტი აცხადებს, რომ ევროკავშირის მოსახლეობის 21.6% სიღარიბეში ცხოვრობს, მათ კონტექსტიდან უსამართლოდ ამოგლეჯილი მონაცემით საკუთარი მხარდამჭერები შეცდომაში შეჰყავთ. მოდით, ჩავშალოთ ეს მარტივი დეზინფორმაცია და განვიხილოთ, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში ეს მონაცემები.

[1] ეს რაოდენობა არის მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი გლობალური ნიშნული, რომლის მიზანია, გაზომოს უკიდურესი სიღარიბე ქვეყნებში ერთი გარკვეული სტანდარტიზებული გზით.

რას ნიშნავს "21.6%" სინამდვილეში?

EUROSTAT-ის მიერ მოყვანილი 21.6% გაზომილია ე.წ. AROPE-ს მაჩვენებლით (სიღარიბის ან სოციალური გარიყულობის რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის სტანდარტული საზომი). ეს არის კომბინირებული მაჩვენებელი, რომელიც მიემართება ევროკავშირის იმ მოქალაქეებს, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიებიდან ერთ-ერთს მაინც მიეკუთვნებიან:

- სიღარიბის შეფარდებითი მაჩვენებელი: თუკი პირის შემოსავალი ქვეყნის საშუალო შემოსავლის 60%-ზე ნაკლებია.
- მძიმე მატერიალური და სოციალური შეჭირვება: თუკი პირს არ აქვს საშუალება, შეიძინოს პირველადი საჭიროების ნივთები, ან მონაწილეობა მიიღოს ყოველდღიურ სოციალურ აქტივობებში.
- ოჯახები მინიმალური სამუშაო დატვირთვით: ოჯახები, რომლებშიც შრომისუნარიანი ასაკის წევრები წლის განმავლობაში თავიანთი შესაძლო სამუშაო პოტენციალის მხოლოდ მეხუთედზე (20%-ზე) ნაკლებს მუშაობენ.

სწორედ ამ დეტალში მდგომარეობს ხაფანგი: საყურადღებოა, რომ **AROPE არ გვიჩვენებს უკიდურეს სიღარიბეს** (შიმშილი ან უსახლკარობა). ეს მაჩვენებელი, სინამდვილეში, ასახავს ფარდობით სოციალურ-ეკონომიკურ მოწყვლადობას განვითარებულ ქვეყნებში.

3 მიზეზი, თუ რატომ არის აბსურდული AROPE-ის შედარება „ქართულ სიღარიბესთან"

1. სიღარიბის განსხვავებული საზომები:

ევროკავშირში სიღარიბის შეფასების მეთოდი საქართველოსგან სრულიად განსხვავებულია. იქაური სტანდარტებით ადამიანი სიღარიბის რისკის ქვეშ მყოფ პირად ითვლება, თუკი მისი შემოსავალი ქვეყნის საშუალო [2] შემოსავლის მედიანის 60%-ზე ნაკლებია. მაგალითად, თუ ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში საშუალო ხელფასი თვეში 2000 ევროა, ადამიანი, რომელიც თვიურ შემოსავლად 1000 ევროს იღებს, უკიდურესად შეჭირვებულად, ანუ - ღარიბად ჩაითვლება.

მეორე მხრივ, საქართველოში განსხვავებული სურათია: აქ სიღარიბის ზღვარი მსოფლიო ბანკის მიერ დღეში **3.65 ამერიკული დოლარის** ოდენობითაა განსაზღვრული. ცნობისთვის, ეს თანხა უკიდურესი შეჭირვების მაჩვენებელია და მხოლოდ დაბალშემოსავლიან ქვეყნებში გამოიყენება. მაგალითისთვის, თუ საქართველოში ადამიანი დღეში **3.70 ამერიკულ დოლარს** გამოიმუშავებს, ის სიღარიბის ზღვარს ზემოთ მყოფად კლასიფიცირდება. თუმცა, ცხადია, რომ ასეთი შემოსავლის მქონე ინდივიდის სოციალურ მდგომარეობას ვერ შევადარებთ ისეთი რიგითი ევროპელის ცხოვრების დონეს, რომელიც თვეში 1000 ევროს ოდენობით შემოსავალს გამოიმუშავებს და ფორმალურად „ღარიბთა" კატეგორიაში მოიაზრება.

[2] მედიანური

2. არასწორი წარმოდგენა „შეჭირვებულობის “ შესახებ:

AROPE-ის მიერ განსაზღვრული „მძიმე მატერიალური სიდუხჭირის ინდიკატორი" სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი მშიერი ან უსახლკაროა. ეს კატეგორია აღწერს მდგომარეობას, როდესაც ადამიანს არ აქვს საშუალება, „შეიძინოს გარკვეული ნივთები ან ყოველდღიურ სოციალურ აქტივობებში მიიღოს მონაწილეობა". მაგალითად, ამ უკანასკნელში, შესაძლოა, მოიაზრებოდეს ერთკვირიანი შვებულების მოწყობა ან პირადი მსუბუქი ავტომობილის ფლობა. ამიტომ იმგვარი შეფასება, **თითქოს ყოველი მეხუთე ევროპელი ადამიანი ღარიბია, უბრალოდ უსამართლო სპეკულაციაა.**

3. ცხოვრების დონეებს შორის საბაზისო განსხვავებები

ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, მაშინაც კი, როდესაც ადამიანები „სიღარიბის რისკის ქვეშ" იმყოფებიან, მათ ხელი მიუწვდებათ ისეთ საჯარო სერვისებზე (ჯანდაცვა, განათლება, საცხოვრებელი და სოციალური მომსახურება), რაზეც საქართველოში სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობა, არც მეტი, არც ნაკლები, ვერც კი იოცნებებდა. **ISET-ის პოლიტიკის ინსტიტუტის კვლევის** თანახმად, **საქართველოში ყოველი მე-5 ადამიანი სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს მიღმა ცხოვრობს,** ევროკავშირში კი - მხოლოდ ყოველი 167-ე (სიღარიბის საერთაშორისო ზღვარი განსაზღვრულია 3.65 აშშ დოლარზე ნაკლები დღიური შემოსავლით).

გარდა ამისა, საქართველოს მოსახლეობის ნახსენები კატეგორიისთვის ძირითადი საჯარო სერვისები ხშირად მიუწვდომელია - მათი უმრავლესობა იძულებულია ჯანდაცვის მომსახურება საკუთარი ჯიბიდან დაფაროს, ხოლო ხარისხიან განათლებასა და საცხოვრებელზე ხელი საერთოდ არ მიუწვდება. ეს რეალობა ნათლად წარმოაჩენს იმ ოქსიმორონს, რომელსაც ვიღებთ საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნების ცხოვრების დონეების უკონტექსტოდ შედარების შედეგად

მეტი თვალსაჩინოებისთვის, განვიხილოთ კვებითი უსაფრთხოებისა და შიმშილის საკითხი. ევროკავშირის ქვეყნებში სასურსათო უსაფრთხოების საკითხი უკავშირდება ცხოვრების მაღალი სტანდარტის შენარჩუნების სირთულეს. მაგალითად, გერმანიაში, **იუსტუს ლიბიგის უნივერსიტეტის (JUSTUS LIEBIG UNIVERSITY GIESSEN)** კვლევამ აჩვენა, რომ სტუდენტების **27.5%-ს უჭირს სრულფასოვანი კვების უზრუნველყოფა** (FOOD INSECURITY), ვინაიდან მათთვის პრობლემატურია დაბალანსებული და ჯანსაღი საკვების რეგულარულად მიღება. აქ მნიშვნელოვანია, რომ მოცემული კვლევის განსაზღვრულ რაოდენობრივ სტანდარტად ე.წ. „დაბალანსებულ კერძში" მოიაზრება ადამიანისთვის საკმარისი კალორაჟისა და მიკრო/მაკრო ნუტრიენტების შემცველობის მქონე კერძების დღეში 3-ჯერ რეგულარულად მიღება. თუკი საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებზე მსგავსი საზომი ინდიკატორებით ვიმსჯელებთ, დიდი ალბათობით, კრიტიკულად სავალალო შედეგს მივიღებთ, იმის გათვალისწინებით, რომ უმეტეს მათგანს კაფეტერია საერთოდ არ გააჩნია. რომ არ ვახსენოთ ის ფაქტი, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევის თანახმად, **საქართველოს სკოლებში ყოველი მესამე მოსწავლე საერთოდ ვერ იღებს საკვებს.**

მაშასადამე, ფინეთისა და ნიდერლანდების მსგავს მდიდარ ქვეყნებში, სიღარიბე ხშირად გულისხმობს კლასგარეშე აქტივობებზე ან ყოველდღიურად სასარგებლო პროდუქტებზე შეზღუდულ წვდომას. საქართველოში კი სიღარიბე ნიშნავს ბრძოლას ელემენტარული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად – იქნება ეს ზამთარში გათბობით მომარაგება, თუ – ყოველდღიური საკვების საკმარისი რაოდენობა.

დასკვნა

AROPE-ის **ინდიკატორი** წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ევროკავშირში სოციო-ეკონომიკური მოწყვლადობის შესაფასებლად, თუმცა ის **არ ზომავს აბსოლუტურ სიღარიბეს**, **ან სიღარიბეს ქართველი მომხმარებლის სტანდარტით**. ამ ნიშნულის ასეთი სპეკულაციური ფორმით წარმოჩენა არა მხოლოდ მცდარია, არამედ მანიპულაციური ხასიათისაა. მართალია, ევროკავშირი ებრძვის ფარდობით უთანასწორობას, მაგრამ მისი **საერთო საარსებო მინიმუმი, სოციალური დაცვის სისტემები და ინსტიტუციური შესაძლებლობები გაცილებით წინ არის საქართველოსთან შედარებით.**

ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის შედარება ამ ერთ მაჩვენებელზე დაყრდნობით ისეთივე აბსურდულია, როგორც, მაგალითისთვის, ვაშლისა და ხაჭაპურის შედარება – მათი არსობრივი და თვისებრივი შემადგენლობა სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. შესაბამისად, მათი რაიმე თვალსაზრისით გატოლება **უსამართლოა.**